

ნიანბი

ქართული
გეგლითი

სიხშირით, 1933 წ.
№ 19. ფასი 40 კ.




ნახ. ნალაშვილის.

უკანასკნელთა უკანასკნელი

იხილი

ისინი (ოპორტუნისტ-საბოტაჟნიკი): — სხვა აღარაფერი დაგვრჩენია; შენა ხარ ჩვენი ერთადერთი ნუგეზი... არ გაგვიცრუო იმედო!
ოკოტ. საბოტ. — კი... მაგრამ ჩვენისთვის პოლიტვანუოფობის ღებები!

„გადაძლიეროთ ცაცხლი ოპორტუნისტებსა და საბოტაჟნიკების მიმართ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნას.“ „პრაედა“.



ნახ. შმერლინგის

ჩამოუარა ნიანგმა თავის ჩანგლით და ფოცხითა და მავნებელი ყოველი ვარცა რკინის ცოცხითა.

ჩრდ. აღ. ჩინეთის რ.გზა

იყო და არა იყო რა.

იყო ერთი უპატრონო ბავში მანჯოუ.

გამოუჩნდა მას ღვთისნიერი ნათლია არაკი.

არაკიმ ნათლობა დიდებული გადიხადა.

ზეიმს დაესწრენ ნათლია და ნათლული.

ეს ორი სვამდა

ორი მღეროდა.

ორი უკრავდა.

ორი თამაშობდა.

როგორც ყველა ნათლიას ჩვევია გულუხვობა, არაკიმაც მანჯოუს დაანათლა მრავალი სათამაშოები: თოფები, ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვეველები, ტანკები, პაეროპლანები...

პატარა მანჯოუს ძალიან მოსწონდა ნადირობის თამაშობაც. არაკის ახარებდა ნათლულის ასეთი სიხალისე და სანადიროდ მიუჩინა „უქხე“, „ჩახარ“, „მონგოლეთი“, „ბეიბინ“, „ტიანძინი“.

როგორც მოსიყვარულე ნათლისაგან თავგასული ნათლული,

მანჯოუ ნადირობით იკლებდა მწობლებსაც: — წადი ჩემო ქაჯან და აილე „ჩ. აღ. რკ. გზა“. ურჩია არაკმა მანჯოუს.

როგორც დამჯერებელი ყმაწვილი, მანჯოუ გაიქცა მაშინვე დასწვდა თუ არა ახალ სათამაშოს, უცებ მოესმა ზვეიდან.

— ციც!

აიხედა მანჯოუმ და თვალწინ დაუდგა ვაჟკაცი.

მანჯოუს ფერი ეცვალა და ღრიალით გაექანა ნათლია არაკისაკენ.

— ნათლია, მე ვიპოვე შენი ნაჩუქარი „ჩ. აღ. რკ. გზა“, მაგრამ მას ისეთი ყარაული უდგას, რომ გული გამისკდა მის დანახვაზე. მოდი წამომეყ და გამოართვი ჩემთვის „ჩ. აღ. რკ. გზა“ წამო რა ნათლი თუ გიყვარვარ.

ნათლია არაკი შეფიქრიანდა:

— ძალიან შეგეშინდა როცა დაინახე?

— ძალიან!

— ძალიან დაგიქნია თითი?

— ძალიანა!

მანჯოუმ უცქირა, უცქირა თვლებში ნათლია არაკის და შემდეგ მორთო ღრიალი:

— მე ვატყობ ნათლი, რომ შენც გეშინია იმისი!

— რას ლაპარაკობ შე ცუდლუტო. ნათლიას ღმერთისაც კი არ ეშინია.

— მაშ, წამომეყ რა! გამოართვი ჩემთვის „ჩ. აღ. რკ. გზა“.

არაკი შეფიქრიანდა.

— ხო წამოგყვები, მაგრამ ჯერ ფლავი უნდა გქამო. ცოტა დამიცადე.

— არ დაგიცდი არა. ახლავე წამომეყ. ვიცი, შენ ფლავსაც შესჯამ და არც წამომეყები.

— წამოგყვები-მეთქი!

— შენ მატყუებ, არ წამომეყები. მანჯოუ დაეცა ძირს და ფეხების ბრახუნით მოყვა ისტერიულ ღრიალს.

— მინდა, „ჩ. აღ. რკ. გზა“ მინდა!


ნათლია არაკი კი მარცვლობით სჯამს ბრინჯს.

ნადირი.

ნახატი ნატურადან

ნახ. ბუსირევის

გერმანიაში ზოგიერთი ფაშისტები პროფესორებად გამოაცხადეს და ისინი ასწავლიან ფაშისტურ კურსებს, სადაც ამზადებენ ფაშისტურ კადრებს“ (გაზეთებიდან)



რკინის-გზელთა მნა

წკ-რ... წკრ... წკრ.

სტალინისის სადგურის მორიგი — ააა!... სტალინისი სლუშაეტი... გომი ხარ?... ოსიაური გავარიტი. მესმის... სლუშიუ... რაიო? კახან-ცევი გყავს? 10 კრიტი ვაგონი უბია? კაკოი ნომერია? სემსოტ ჩე ტირნაცატი? ბიჭო და რათ ატან მაგდენ ვაგონებს, ხომ იცი ამ პერეგონზე მაგხელა „სასტავს“ 2 გერმანკა ვერ ამეიტანს? მე ახლა

ველაპარაკე „უჩმეს“, მან გამოუძახა „დ.პ.ე.ს.“ მე გამოვიგზავნი „სბორნი სასტავს“, ორი ვაგონი „აცეკვა“ აქვს, სამი „კრიტი“ უნდა მიუბა. თუ უკანა „კრიტი“ ვაგონს შეატყო ბუქსების „პაგარენიე“ მოხსენი იმ წამს, „აცეკვა“ გოუკეთე. ბიჭო ნომერ „პილისიატი“ თუ მოდის გომიდან მაცნობე, რომელ „ბუტში“ მიიღებ მას. აბა დასვიდანია ახლა!

ძნელ-ძლი.

არც ერთი ბუქსი, არც ერთი ფუთი!..

— აბა, ნიკოია „მახლო“, გოუსევი ერთი შენებულად ამ ჩემ პოეზს, ჰა! დაატანდა თითქმის ყველთვის ამ ადამიანისთვის შეუფერებელ „სა“ს „ობერ კონდუქტორი“, სილიბისტრო მუხრუჭაძე, ნიკო მზეთავეს ანუ, მაშინდელი უარგონით—ნიკოია „სმაზიკის“ მისამართით, თითქმის რკინის-გზელსა და თავის თანამშრომელს კი არ ელაპარაკება, არამედ ძალს უხმობსო.

გაგულზედადებული „ობერ კონდუქტორი“ მუხრუჭაძე ისე უბრალო მისალმებასაც კი არ ჩაატარებდა ნიკოისთან, რომ რაიმე დამამცირებელი არ ეკადრებია.

— ობერია აცუდა! „რკელმა რომ ფეხს გამოწია: მეც ნაზირ-ნაზირისსო“ — შეუტედა ნიკოის თავზედი „ობერი“ თავისი დამტყრელი რუსულ-ჭარბულით.

მაგრამ... ოქტომბრის რევოლუციამ ბევრი მუხრუჭაძეები დააციარა. სილიბისტროსაც ქალაქში უბილეთო მგზავრებისაგან ნაბოჭი ფულებით ავებული სამსართულიანი სახლი ჩამოართვეს და თანამდებობიდანაც ჩამოაქვეითეს, ჯერ—უბრალო მემუხრუჭაძე, ხოლო შემდეგ — მეისერობამდის.

არც ნიკო მზეთავეს აქცევდნ დიდხანს ყურადღებას და ასე გამოდიოდა: ღარიბებისა და დამაჯრულების სახედნიეროდ მოვლენილი რევოლუცია თითქმის ნიკო მზეთავესთვის არც კი არსებობსო.

მაგრამ იი, რკინის ვზის ტრანსპორტის საკითხი ჯერ მწვეველ დადგა საერთოდ. შემდეგ, ეს საერთო საკითხი რომ პიროვნებებამდე დავიდა, საუკეთესო დისპეტჩერებსა, მემანქანებს და სხ. ოომ დაუწყეს ძებნა, ხოლო შემდეგ საუკეთესო მზეთავენიც საჭირო და საიბარი აღმოჩნდა, ეს საკითხი რომ კონკურსის საგნადაც კი გადაიქცა, აი. სწორედ აქ დადგა ნიკო მზეთავეის ჭრახვე ბრწყინვალე დოქსასწავლი აღმოჩნდა, რომ ნიკო მზეთავეს ხანგრძლივ სამახურის განმავლობაში ერთი ბუქსიც კი არ დასწვია, თავისი დაუდევრობით მატარებლის ერთი ფუთით დაგვიანებაც კი არ გამოუშვევია.

განსაკუთრებით პირნათელი აღმოჩნდა, ნიკო მზეთავეის სამახური საბჭოთა ხელი-სულღების პერიოდში.

დღეს „ნიკოია მზეთავეი“ სილიბისტრო მუხრუჭაძის სახელწოდებით, „ნიკოია სმაზიკი“ შრომის გმირია და საშობოთა რესპუბლიკის საცხოოდ დიდ მანძილზე ცნობილი პიროვნება, შრომის სამაგალითოდ დაბეჭდველი, მისი სანიშნუ-შო სიმაღლემდე ამყვან-ამაღლებელი, მისი სწორუბოთაო რაინდი; არ ვიცით რა ბედი ეწია სილიბისტრო მუხრუჭაძეს, მაგრამ ეს არც ისე საინტერესოა, რადგან ერთხელ უკვე ეხილეთ მისი ნამდვილი სახე და მისთვის ღირს ადგილის მოკლეთენებაც, ხოლო კუბოს კარამდე ჩვენ მუხრუჭაძეებსა და შრომის აელსმეშველელ შემფერებლებს არ მისდევთ.

პაპირია.

ქახეთიდან ტფილისსაკენ



ტფილისიდან ქახეთისკენ ჩქარა მოდის, ეჩქარება;
იქ მას ღვინო ეგულება და ყლაპვა არ ეზარება.
იქეიფებს... გამოთვრება... ახლა აღარ ეჩქარება.
ბარბაცობს და ნელა მოდის, აქჩამოსვლა ეზარება.

მინალორას „ლილინი“

ნაპოენია ორი ღორი. პატრონს ვთხოვ მომაკითხოს შემდეგი მისამართით: მუხრანის ქ. № 1 რაჟდენ ჩიკვილაძეს. თუ ვინცოცაა პატრონი სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდა, ღორებს ვისაკუთრებ მე — რ. ჩიკვილაძე.
(საგაზეთო განცხადებიდან).

მერმე ისიც სხვის გაზრდილი და შემთხვევით, ხელად შენს სუფრაზე დადებული მუქთად, უზრუნველად?!...


მე კი დავალ ცხრა მთას იქით ძლივს ვაწყდები სკვინჩას! ერთ ღორს თუ მეც არ გამიყოფს თავს მოვიკლავ „სიჩას“!

მედუზა.

ზოგი დაწინაურებული

ნახ. ს.ო.იძის.

აი, „ბელიც“ ამას ქვია, ხომ არ არის ჭორი? ნაპოენია კუპატივით გატენილი ღორი. ჯერ ერთსაც ვინ დაიწუნებს ღორს ან ღორის ბარკალს?! — (დე მობრძანდეს ღრუტუნია! — გაეხსნი ეზოს ფარგალს!) მას კი ერთად მიდგომია ერთი არა, — ორი ქუთათური კუპატივით გატენილი ღორი. ალბათ როს დღე მოლოდინი! გაფრინდება სამი, გაეხსნება ჩიკვილაძეს მაღაც ხორციის ჭამის. შეჭამს, — ხომ არ იზარალებს?! — დააძლება ღვინზე და პატრონსაც „სულს უხსენებს“ რომ არ გაჩნდა „ჯინზე“. ორი ღორი.. ხუმრობაა განა ერთად ორი? მერმე ისიც კუპატივით გატენილი ღორი?



— ეს ჩვენი მიზო არ არის? როგორ გაბოჟოკრატებულია?
— არა უშავს, წმენდაზე ნაზად რა ვაქცის არის!

კუტაფინთან ერთად ტფილისიდან ფოთამდე

კუტაფინს მე წინააღმდეგ ვუწინასწარ-
მეტყველე, რომ მისი ხელმძღვანელობით
შემუშავებულ გრაფიკს, ტფილისშივე მო
უვიდოდა რამე ფაქტორიკა.

— ტფილისის არ შეშინია, ოღონდ
სტეა სადგურებზე თუ არ შეგვხვდა და-
ბრკოლება, — მითხრა კუტაფინმა დაბეჯი-
თებით და მას კვერი დაუჭრა დისპეტჩერ-
მა ჩანკვეტაძემ, რომელიც ერთ-ერთი პი-
რველი ენტრუზისტია კუტაფინის მადლი-
ანი ინოციატვის.

ტფილისიდან უნდა გავსულიყავით დი-
ლის 5 საათსა და 20 წუთზე, კუტაფინი-
სა და ჩანკვეტაძის გამოანგარიშებით,
ბათომის საზიდან მომავალ მატარებლებს
სულ ყველას ასე გაუძრ-გამოუძვრებოდით
როგორც ხელიკი, ყველაფერი გამოასვა-
რიშებულ იყო მათემატიკური სიზუს-
ტით, მაგრამ გაშვებული იყო მხედველო-
ბიდან ის გარემოება, რომ მწვანეთს ხალა-
თის შეკვრაზე სჭირდება 15 წუთი, ხო-
ლო გავცილებულს საშის დუქანში 20 წუ-
თი უნდოდა გამოსაფხიზლებად.

რადგან ყოველივე ეს არ იყო გათეა-
ლისწინებული 35 წუთი იაღლიში მოუ-
ვიდით დასპეტჩერებს და უკვე 6 საათი
იყო, როცა ჩვენი ამკრეფი მატარებელი
დაიძრა ფოთისაკენ იქ უხვად მოხლავებ-
ული პურეულის წასაღებად.

ჩავედით დიდუბეში, გზა შეიკრა, გვა-
ყურყურტეს 40 წუთი, რას ვიზამდით, თავ-
ზე ხომ არ ვადავახტებოდით ბათომიდან
მომავალ სამგზავრო მატარებლებს.

ჩავედით ავჭალაში, ვიდრე თუ და ვკლა-
პაილით დილის სუფთა პაერს, სანამ არ
ჩამოთავდა ბათომიდან მომავალ მატარე-
ბლების ჯოგი. პაერის ყლაპვამ გასტანა,
მეტი რომ არ ვსთქვათ, 4 საათი.

კიანგარიშით და გამოგვივიდა, რომ საა-
თში გავდივართ 2 ნახევარ კილომეტრს,
რომელსაც თამამად გაივლის ქვეითად ხა-
მაჩემი, რომელიც სიარულის დროს ორ
ჯოხს იშველიებს წხოლოდ.

ეს ყველაფერი გვიქნა ტფილისა. კასპ-
ში დიდი არაფერი ფაქტორიკა შეგზვედრა
გარდა იმისა, რომ ვაგონს ცეცხლი კინა-
ლამ გაუჩნდა ბუქსის გახურების გამო. ეს
ისევე ტფილისის წყალობით. სავაგონო-ხა-
რემონტო ქარხნიდან ენერგიული ბულ-
მაიწყოების შედგვად დაუხურეთვე ვაგონი
გავგატანეს, რისთვისაც დიდი მადლობა
შემოვთვალეთ მშენებლებს: კვირიკა-
შეის და ბეგიაშვილს.

სადგურ სკრას რომ მივადექით, ის იყო
რომ გაწყდა მატარებელი, ცხადია, ველო-
დებით დახმარებას სადგურიდან. ვეცდით,
ახლა მოგვაშურებენ, ახლა გავამთელუ-
ბენ, არ შეგვქამოთ კირმა! ჩამი.ჩამი არ
ისმის.

გულწოხლი ვაგვიქვი სადგურში და
დავიძახე: „სად არის სადგურის უფრო-
სი?“ — ჰარალო, ჰარიარალო! — გაშო-
ბარბაცდა საიდანაც დიდი ლოდინის შე-
მდეგ, ცქიტოშვილი, რომელიც ქორწილი-
დან მომავალ მაყარს უფრო ჰგავდა, ვიდ-
რე სადგურის უფროსს, — სად ხარ კაცი?
მატარებელი გავგიწყდა, აი ის მატარებე-
ლი, რომელიც კუტაფინის ხელმძღვანე-
ლობით საცდელ რეისს ასდენს.

— გენაცვალე სულში... შე მიყვარს ე-
კვატი... მეგობარო... გენაცვალე სულ-
ში... კუტაფინი რაა? კუტაფინი... ვინაა,
თუ ძმა იყო?

სლოკი შედარება

ნაბ. დონის



— როგორ თუ ვინაა, კუტაფინი მთელს
საბჭოთა კავშირში რომ გაითქვა სახელი,
ჩრდილოეთ-კავკასიის რეკონსტრუქციის გროუ-
ნოს რაიონის დისპეტჩერი, რომელიც ხან-
წაულებს ახდენს ამკრეფი მატარებლების
პიროსვლის მოწესრიგებაში, საათიკით,
რომ აქვს აწყობილი ყველაფერი! — განუ-
მარტა ვილაყ მისმა თანამებოთელემ, რომ
მელიც შედარებით უფრო ფხიზელი იყო.

— ვენაცვალე სულში... დოღმანე თუ
ძმა იყო, სირცხვილი არ მაქამოთ... თიო-
თიო.

— ვაი უმედურობას, ამას რაღა ჰკუა
უნდა ეთხოვოთ კაცი შეგიძლია რამე და-
გვეხმარო მატარებელა გავაწყვადა..


— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოს! ან-
ლაფე! გაბარბაცდა ცქიტოშვილი. ვასცა
რაღაც განკარგულებები, დაიწყო მანიო-
რები, აქეთ გვათრიეს, იქით გვათრაეს და
ბოლოს მატარებლის ეს გაწყვეტილი ნა-
წილები აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირის-
პირ ასე, რომ ერთი წუთი და ერთმანეთს
დაეჯახებოდნენ და კვირცხივით შეასკლე-
ბოდნენ, რომ შემთხვევას არ გადაეცრა-
ნეთ.

— უპ, გენაცვალეთ სულში, ძალიან გა-
დავირჩით! — თქვა გაღეშობმა სადგურის
უფროსმა.

ხესტაფონში რომ ჩავედით 12 ვაგონი
ჩამოგვაცილეს ჩვენი ნება სურვილის წი-
ნაღმდეგ. სამტრედიაში წაგვართვეს 38
ვაგონი, ასე, რომ ფოთში კუდი ძლიერს
ჩაგვყვა.

აქეთ გამობრუნებულთ შედარებით უფ-
რო პატივი გვეცეს, ალბათ იმიტომ, რომ
პურით ვიყავით აღსავსენი.

სეზვიარ ბან-შიის.



— რამდენჯერ შევაკეთე ეს ოხერი, მაგრამ მაინც ზოგიერთ რე-
ვისგზელსავით მუშაობს!

ორთქლგავალი და ქოთანნი

პასუხა მოთხოვნებში გადარჩენილი

სამტრედიის დეპომ ქუთაისიდან შესაკეთებლად მიიღო ორთქლმავალი № 408, რომელსაც ბორბლები ჰქონდა დაზიანებული. — სადა გვაქვს ჩვენ მაგის შეკეთების თავი? გავუზავნოთ ტფილისის დეპოს, ავი შეაკეთებ და ჩვენ გამოგვიგზავნის, ჩვენ კი ქუთაისს გავუზავნოთ, როგორც ჩვენი შეკეთებული! — თქვეს სამტრედიის დეპოში.

თქმა და შესრულება ერთი იყო (ასევე შესრულებაში ყოჩაღია აქტური დეპო). ტფილისში შეაკეთეს ბორბლები და სამტრედიას დაუბრუნეს.

ამ დროს ქუთაისიდან ახალ მიღებული იყო შესაკეთებლად მეორე ორთქლმავალი № 415 (მასაც იგივე სატიკიარი ჰქონდა, რაც პირველს).

ამ ავადმყოფის მიღება არ სწყენია სამტრედიას, პირიქით — გაუხარდა.

— ეს კარგია. № 408 შეკეთება ძალზე დაგვიანდა (ტფილისში გავზავნის გამო). მაგრამ ამას ორ-სამ დღეში დაგაბრუნებთ უკან.

— როგორ? საიდან? დაეპედა ზოგი.

— ტფილისიდან მიღებულ ბორბლებს, რომელიც ეკუთვნის № 408-ს, გავუშვეთ № 415-ს!

მათილაც ასე მოიქცენ.

ორთქლმავალი № 415 საჩქაროდ დაბრუნდა ქუთაისში სრულიად განკურნებული.

— ყოჩაღ სამტრედიელებო! ტემპივით ამას ჰქვია, უკვირდათ ქუთაისლებს და შთი გაკვირებმა კიდევ უფრო დიდი გა-

სდა, როცა მეორე ორთქლმავალსაც (№ 408) მოჰყავდა სადგურს.

ორი ორთქლმავალი ქუთაისის კენძისთვის შთელი სიმდიდრეა.

იმავე დღეს გაჩაღდა მუშაობა. მაგრამ არ გასულდგო ორი დღე, რომ ორთქლმავლებმა აკოქლდენ, ფეხი ველარ მოიცვალეს.

— რაშია საქმე? — და ხელად მოიწვიეს ექსპერტიზი. გამოირკვა... რა გამოირკვია?

რაც სინამდვილე იყო.

— ჩემი ბორბლები მაგას აქვს, მაგისი კა მე შეკვს! — ძლიერ ამოილულულა ტყვიანებისაგან № 415-მა ორთქლმავალმა.

— მართალია, მართალია! — თავის ქნევით აღნიშნავდა ორთქლმავალი № 408.

— რატომ ქენით ეს — ძმამბიურად უთხრეს სამტრედიელებს.

— რავე, თუ კი მექონეს შეუძლია ყური ქოთანს სადაც უნდა იქ გაუყეთოს, ჩვენ რა მექონებზე ნაკლები ვართ, რომ ერთის ბორბალი მეორეს არ შეუნაცვლოთ?

გაიფიქნეს ამ მოსწრებულ პასუხზე და... მეტი არაფერი.

კირი.



სამტრედია

ბიძიკო სიმონ! ეჭვი არა გვაქვს, რომ ხარ კეთილი, წმინდა ჰალარა! მოგერიდებო— მაგრამ ერთ რამეს, დღეს შენს წინაშე ვეღარ დავფარავ. გლმხსრომს განაგებ ძველი მებრძოლი, და დავალებით ხარ დატვირთული! და რომ გლმხსრომში წესრიგი გქონდეს, მეც კი მადლობას გეტყვოდი გულით.

თანამშრომლები თავის ნებისა და ხასიათის არიან ყველა!

ჩვენ სახტუმროში გვინახავს ცული, აურსაური, კრულვა და წყევა. ქალღმის კისკისს რომ ვისმენთ დამით, გული გვიკვდება მათი ყურებით! ამით რომ ბილწვენ სახტუმროს სახტელს, ამაში სიმონ და მერწმუნებო.

სასადილოშიც არა გვაქვს წყობა, ღვინის საწყობაში წერა მგებია! — დროზე მოკვეთე ამ ამბავს თავი, ფორემ საყვედურს სახტელს გეუცვან... ზანდელი ბიძიკი



— ვახ! ვერ გამიგია ამათი საქმი! მხეცები ქალაქში მოაქვავთ, მე კი ბაშპორტს არ მაძლვიან და ქალაქიდან მერეებთან!

ღვინიაშვილი ადრე გორის სადგურის უფროსი იყო ან, უკეთ რომ ვთქვათ: წინად გორის სადგურის უფროსი იყო ღვინიაშვილი.

— რატომ ერქვა უფროსს ღვინიაშვილი და არა პურიაშვილი, ღვინიაშვილი ან კიტრადე? — იკითხავთ თქვენ.

იმიტომ რომ ღვინიაშვილი ყველაზე უფრო „კარგ“ განწყობილებას იყო ღვინოსთან. ისე უყვარდა წითელი ღვინო, რომ მის „უნახავად“ ორი საათიც კი ვერ გამძლებდა. და ვინაიდან გორის რაიონის ღვინის ხე ვაზის კულტურის ზესტაფონისას ბევრად ჩამორჩება, — ასწიეს და ღვინიაშვილი სადგურ ძირულაში გადაუძახეს (ზესტაფონის მახლობლად). ამრიგად ზესტაფონის რაიონის ღვინოები ღვინიაშვილს ვეღარ გადაჩნა, მაგრამ თითონ ღვინიაშვილი თანამშრომლების დახმარებით ერთ მოახლოვებულ ხიფათს ადვილად გადაჩნა.

ამასწინად ღვინიაშვილი სადგურ ძირულიდან საქეფოლდ წავიდა ვინმე რვეზიშვილთან — მახლობელ სოფელში. მეორე დღეს გრძობა დათენთილი ღვინიაშვილი ორმა კაცმა ძლიერ მოიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს თავის ბინაზე.

ამ დროს გაჩნდა რვეზია.

— სად არის სადგურის უფროსი? — იკითხეს მოსულებმა.

— ისვენებს საწყალი! ორი დღე და ღამე სულ გადაბმულად მუშაობდა და დაღლილია. — უბასუხეს „ანგელოზის“ გულმემატიკიარმა თანამშრომლებმა.

აქის რე შემთხვევაზე შეგკალია, ვთქვათ: „თუ ანგელოზები (თანამშრომლები) გწყალობს, ეშმაკი (რვეზიორი) ვერას დაგაკლებსო.

აზვარისტი მთავარკისლუშტორი

მეცადრე კონდუქტორს ქორიძეს ეუღლებ ქუჩაში სასტუმრო აბია, მაგრამ ის ნატილო სასტუმროსა და მოსიარულე ან გეგონოთ. ქორიძეს სასტუმროს ვარდა „ქვიანა“ თავიც აბია. ქორიძეს მგზავრები უყვარს ბრუციანი (უბილეთო), თორემ თვითონ კი არ არის ბრუციანი. ის კარგად ხედავს და იცის რომ როცა სადგური ბილეთებს ყიდის, მას აღარ ეძლევა საშუალება რომ ჯარიმის პროცენტების სახით მისაღებ „შემოსავალში“ დასახული გეგმა განხორციელოს და ამ „უხანონობის“ (ესე იგი — სალაროში ბილეთების გაყიდვის) თავიდან ასაცილებლად ის წინასწარ დებეშის აძლევს სადგურებს, რომ მათ ბილეთები არ გაყიდოს „აღვლის უქონლობის გამო“ ასე მოიქცა ის 31 აგლისაქ როცა იმ დღეებში № 49 მატარებელს და ასე იქცევა დღესაც. ქორიძე ისე გათამამდა, რომ თუ სადგურებმა მას არ დაუჯერეს და ბილეთი გაყიდეს მატარებლის შემოწმების შემდეგ, ქორიძე წაუღივრე „სკანდალსაც სტებს და მუშებს მუშტი-კრივით უმასპინძლებდა. რკინის გზის ადმინისტრაციას ევალება უყურადღებოთ არ დასტოვოს ქორიძის „საქმენი საგმირონი“.

სიმი.

გ ა ნ მ ა რ ტ ე მ ბ ა

ამ ნიანგო.

შენ ყოველთვის თხოულობ შენი თანამშრომლებსაგან, რომ წერის დროს ნუ ვიცით გადახვევებ-გადმოხვევები და მწეროთ კონკრეტულად.

ე. ი. უბოდიშოდ რომ გამოვთქვათ—ნუ მოგყვებით ხოლმე აბდა-უბდას და ნუ ევლებით ლობე-ყორეს. მაგრამ რა ვუყოთ თუ ერთ აზრს თავისთავად მოჰყვება მწერე აზრი. აი ვთქვათ, თუნდაც ამის შესახებ:

გორის სადგურის უფროსმა განკარგულება გასცა, რომ მოლოარეს ხუთი კაცისათვის ბილეთი მიეცა გორიდან სენაკამდე, როცა ხუთიდან ერთი მოქალაქე სალონიდან უკან ვე გამოიბნის თითებდაშავებული, სადგურის უფროსის განკარგულებაც მოლოარე მარია იმ სტრუქტურასთან არის დაჩრდილი, აბა მოთხარით, როგორ არ მომავინდეს ამერიკული ტემპი „ფორტოქის“ დახურვაში?

მეორე შემთხვევა:—სენაკიდან სამტრედიისაკენ მოდის ცოლქმარი ბავშვით.

— რამდენი წლის არის ეს ბავშვი?—კითხულობს რევიზორი გიორგი გოგოლაძე.

— ხუთის გახლავთ. ციებამ დაძინებრა, იორემ უფრო დიდი ტანის უნდა ყოფილიყო!—თითქოს ბოდიშით იწყებს დედა. რევიზორმა სიამოვნებით გაიღიმა და უთხრა:

— ბილეთი უნდა აგელოთ, თქვენ დაჯარიმებული ხართ ოთხი მანეთით!

— არასოდეს არ აგვიღია, ათ წლამდე არ უნდა ბილეთი.

— ხუთის არც არის, მეხუთეში,—ასწორებს „მეტრომას“ ბავშვის მამა.

— გადაიხადეთ, რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი!—მოკლედ ჭრის რევიზორი.

— ეს ნათხოვარი პოლსაპოში რომ არ ეცვას, ხომ არ გამოჩნდებოდა ასე მაღალი. ყველაფერი შენი ბრალია!—უყვირის ცოლს ქმარი.

ცოლი სასწრაფოდ ხდის ფეხსაცმელს და ბავშვს ცხვირწინ უტრიალებს რევიზორს.

— კაცო საბო მანეთი და მეტი არც მაქვს!—იძახის ბავშვის მამა.

— ერთი მანეთისთვის ნუ მიცდენ

— კაცო აბატე ევ ერთი მანეთი არ იცოდა წესები. ზევითა თაროდან ჩამოსდინა ვილაკამ.

— საქმე სწორედ იმ ერთ მანეთშია!—ხაზგასმით აღნიშნა რევიზორმა.

— აბა, ეს მანეთიც!—და ვილაკე გამოღვიძებულმა მოქალაქემ მანეთიანი გადმოუვლო რევიზორს. გოგოლაძემ ფული მიიღო.

— ვანა ეს მშვენიერი ტიპი რევიზორად უნდა სცდებოდეს? უმჯობესი იქნება სახელგამა დაუნიშნოს პონთნარი, როგორც


მწერლის ხელის შემწყობს, ნამდვილ მწერლებს ტიპად გამოადგებათ.

აი, როცა ამ წერილს ვნახებ „ნიანგში“ შემოკლებულს, გამახსენდება ჩვენი კამათი იმის შესახებ, რომ წერილი მახინჯდება შესწორებით. თქვენ კი აბიოზთ—სწორდებათ. ერთ კაცს სუფრაზე ქეიფის დროს უთხრეს: კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ფხუვიანი ხარო.

— როგორ თუ ფხუვიანი ვარო—ყვირა მან და ღვინიანი ბოთლი თავზე დააფშენა მთხრობელს.

აი რატომ გამოდის, ამხანაგებო,—ჩემი წერილი გაქინაურებული.


სიონ-აღა.



თავისას ითხოვენ

ნან. დონის

რკინის გზის მუშათა სახლების შესაკეთებელი თანხები დანდუროვის განკარგულებით (პრ-ნ) ძმა-ბაჭურად ხმარდება ყერძო ბინების კაპიტალურ შეკეთებას.



— ბ-ნო დანდუროვო, ხომ ხედავთ რა მდგომარეობაში ვართ? ჩვენი ფული ჩვენ მოგვახმარეთ!
— შემოიარეთ ორი-სამი ხუ თწლედს შემდეგ და მოვილაპარაკოთ ამის შესახებ“.

ნ.ბ. ზუბირვეს.

სახელმწიფოს და სკაქარის
დადგენილება
იქი ჟის ცნის სმორცე მუქამობის
არიაქვის იქსაბი



მთავარი ხაზის მტოიებმა არა იცვალის იერი.
(ოქმეა ვერ მთავარ ხაზისეც არა ვერი მთლად მაღლითი).
მთი ახალ დადგენილებას ვუძებს გზაპირიერი.
არ შეუშვებს არ მისცეს გზა დართო და განიერი.
იხვე გრამდობა საქმენი, რაც იყო წინად, ძეგლად
თავის ადგილზე ზოგ მუშაკს, ნახავთ იზვიით-მხელად.
ხმარებაში აქვთ კვარტები და ლინით სასე ხელდა:
აქოვს, უვლდებან მანდური, კონწის-კრა სწრაფად, ხელდა:
დადგენილითი — უვლია ვინც მავნელ ტრანსპორტზე შეპარულია:
საბოტაჟსე — ჩვენი აქვს ზრ ახალი მეთად მტოილია:
მისი მხა თბორტუნისთა — თე თრ კბილი შავი გულია,
მძინარა, ლოთი, უთველდე მთი ვილო და გავაკრულია.
მთავარი ხაზის მტოიებმა, უნდა იცვალის იერი.
მთი ახალ დადგენილებას ვაუხსნა გზაპირიერი
კირი გულდონ, მარდონ და მისცენ გზა განიერი
ვა ახლი ხაზში ვაუხლებთი რკისს გვით ჩვენ მაღლია



ზორჯომი-კლავო

ჩავედი თუ არა, სიამოვნებით მიმიღეს დასასვენებელ სახლში. ყველაფერი რიგზე და ლამაზად მეჩვენა, (ალბათ ბუნების ზეგავლენით). ეს იყო პირველი ღღეს. (თუმცა იმ დღეს „კანონის ძალით“ სადილი არ მაქამეს, რადგან აღრიცხვაზე გაუტრეპიელი ვიყავი).

მეორე დღეს ცოტათი უფრო შეგეცვალა შთაბეჭდილება, რადგან იმ დამით რამდენიმე თვამშრომელი გავიცანი. გამგე ძლიერ მომეწონა, ლამაზი კაცია, მაგრამ მისი სიმსუქნე შეხედვისთანავე სხვათა იქნებებს იწვევს. ალბათ გამგის გამჭირაობას თუ მიეწერება, რომ სადილის დარაგების წესი მეტად ორიგინალურია. მოაქვთ საჭრითო ქეაბი, საიდანაც მოაგარაკენი თითონ იღებენ კუთვნილ კერძს, რასაც შედეგად მოსდევს ჩამორჩენილია და ყორონთა ულუპოდ დარჩენია.

— ეს ძალან ცუდი წესია—შევიწინე თვითკრიტიკის გზით სამზარეულოს უფროსს, —ზოგი ძალზე ძღება და ზოგი მშვიერი რჩება.

— ვინ ძღება, თქვენ მას ნუ ანგარიშობთ, თორემ ზედმეტი შრომა მოგივით. თქვენ ვცადეთ, რომ თქვენ მშვიერი არ დარჩეთ! — შიპასუხა მან.

— მე ვიცი ჩვენთვის საკმარისი სურსათი არის გადაღებული და ჩვენ უნდა მოგვხმარდეს ის წესიერად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ამას გავასაჩივრებთ! — დაემაძღვრე კადიც.

— ჩვენ საჩივრების არ გვეშინია, თუ ძლიერ ნაწყენი ხართ, შეგიძლიათ გამგესთან გასაჩივროთ.

— მე როგორც ვატყობ, გამგეც თქვენ ნებურად მღერის! — დაუმალა ამხანაგმა.

ამ ლაპარაკში ვიყავით გართული, რომ ვილატამ ჩემი წილი პური ხელიდან დამოლა და მთელი დღე უპუროდ დამტოვა.

— ესეც შენ თუბეღურება, ჩემო ძმაო, მითხრა ამხანაგმა—შენ რომ თვითკრიტიკის წილს არ შეტანე და ეს ხალხი არ დაგვლანძა, იქნებ დღეს სულ მთლად მშვიერი არ დარჩენილიყავით.

— არა ძმებო, მე აქედან უნდა წავიდე, — ვუთხარი მოაგარაკებს. ჩვენს ნორმას მაგენი ითვისებენ! სხვებმაც ბანი მომცა და ალბათ საქმე მუშგულენიანადე მივიღოდა, რომ იქვე გამგე არ გაჩენილიყო.

— რა ვიქირე ამხანაგებში? თუ რომ სათქმელი გაქვთ, რატომ ჩემთან არ ამოხვ. აქ უნდა ვთქვათ ყველაფერი, ეს ჩვესოჯახია.

— შენი ოჯახი კია და ჩემი რა მოგახსენოთ! — ჩაილაპარაკა ვილატამ თაიბოსის.

— თქვენი საქმე თქვენთან არ გამოსწორდება. საპიროა აქ სხვისი ხელი, რომელიც გამოქვეყნე თქვენს საქმეებს! — შევეუბნე მე.

— რაშია საქმე? საჩივარს აპირებთ? ვინ ზედაც ამას? იღრიალა გამგემ. გამგეს ბინი მისცეს მისმა თანამშრომლებმა. (განსაკუთრებულ აქტობას იჩენდა მზარეული).

— თქვენ ჩვენს ნორმა სურსათს ითვიცებთ! გახედა ერთმა მოგარაკემ

— მაგალითად?

— პური ნახევარი მიგაქვთ.

— რად გვიდა თქვენი პური? — ცხარობდა მზარეული—ჩვენი გამგე ას გრამ პურის მეტს ვერ შეტყაშ და...

— ეს იმიტომ ამხანაგო, რომ მის ერთ კილო სუტს აჭმევთ ყოველ სადილზე! — დაიძახა მეორე მოაგარაკემ.

პანლურით ფაგილფლავი ული

მოულოდნელად მივიღე ნიანგისაგან ბრძანება: „თუ ხარ შენ ქვეყნის გუშაგი შრომა ნუ დაგეხარება: მოაწესრიგე მიმოსვლა როგორც შე დამიწერია... ჩემი ბრძანების სრულყოფა — შენი ვალი და ჯერია!“ როგორ გავტეხდი მის სიტყვას, მისი მონა და ერთგული: დავექ ქუჩათა კუთხეში, პოზა მივიღე მხედრული. მემარცხენე მარჯვნივ გავგზავნე, მემარჯვენე კი — მარცხნივ...

რას ვიფიქრებდი — ეს საქმე დასრულდებოდა მარცხითა. შეიქნა არეც - დარეცა წალმა - უკულმა ტრიალი: ზოგი რონოდამ გასრისა, ზოგს ავტო ვცა, ტიალი. ჰოდა, სალამოს ნიანგსა წარუდექ მოხსენებითა; ვფიქრობდი:—ჯილდოს მივიღებ, დავწვები მოსვენებითა. ნიანგმა — ამხედ-დამხედა და გაიღიმა მწარეთა: ჯილდოს წილ-მაგარ პანლურით გამომისტუმრა გარეთა. **ხუშარა.**

ნახ თორიძის.



— კაცო, ვინ ჰრის ეს კაცო, რომ ასე იბღვირება!
— ეს ჩემი მეოთხე ცოლის ყოფილი მეხუთე ქმარია!

გაქაფული ურემი

(გურჯაანის რაიონი)

„ყანდაურის (გურჯაანის რაიონი) კოლექტივის: „გლების-მარჯვენას“ თავმჯდომარე ტატიშვილმა კოლექტივის ურემი მიუყიდა კეოხო პირს.

გურჯაანელი.



გლები: კარგად დათვალე, ხომ სწორია.

თავმჯდომარე: სწორია. ურემს კი არა თუ გინდა, კოლექტივის ხარებსაც მოგყიდი, ვინ რას გამობედავს!

ლუსი ხაბურზანია

(ანაკლია, ზუგდიდის რაიონი)

კარგ გუნებაზედ არა ვარ, კაცი ამისა გამგონი, დავჯე და ლეჟსად გარდავთქე. შაბავი სანიანგონი, შავსილეები ფრთებქვეშ ყავს, სწორედ კულაკის ჯიშია, ნოეს, ამბაკოს მფარველობს, კიარებში ნავარჯიშია.

ასოვს დღენი ზუგდიდში რომ პანდურს ვკრეს, გრძობდა ტყიელს, (იგი არსად არ დაინდეს) ინანგმაც კი გაჰკრა კბილი) ის ზომ ხე-ტყის კარხანაში მკლავადობდა კაცი ერთობ (ნიჰიც უნდა—გ. საქმენი პარტმანდატთან შეჯერო). რევოლვერი წელზე ერტყა, დადიოდა ლანძღვა-ობერით, და ერთ ქერავ ქალს უტაბედას. შეუტყვრია კარი კოხის. კივილისგან ხალხი შეძრა გამოსტაცეს ქალი ჯალათს. ტარიელი მშრალზე დარჩა, ადარ იყო მეტი ძალა.

დასას...

1 იანვარი

1. იშპილი.

მიქრის ტრავია. რონოდის კიბზე უამოავი ხალხია ჩანო კიდებული, ზოგი ბილეთიანი, ზოგიც — უბილეთო.

— არიქა, უმველეთ უმედურს... საწყალს, ორივე ფეხები დააქრა!— შეყვარა ვლად ლოქოს სისქე ქალმა, რომელიც კიბზე ჩამოკიდებულიყო შეჩერდა ტრამვაი.

ხალხი პანიკამ მოიცვა. ხტებიან ძირს: კარებიდან, ფანჯრიდან და თითო კაცს ერთი ან ორი სხვა ჩამოყავს ზურგზე აკიდებულნი.

ჩამოვიდა ვატმანიც, აწითლებულ ხაზეზე კირის ოფლი მოიწმინდა და რონოდის ქვეშ „ტრალიკულად დაღუპულ“ მგზავრი ძებნა დაიწყო. ხალხმაც ვატმანს მიბაძა.

რამდენიმე მგზავრი სასწრაფო დახმარების გამოხაწვევად გაიქცა.

სძებნენ „ტრალიკულად დაღუპული“ რონოდის ქვეშ და ვერ იპოვეს.

ხალხი ძველ ადგილებს დაუბრუნდა, ხოლო ერთმა მგზავრმა, რომელმაც ყველაზე უკეთესი ადგილი ექირა, თავის ალა

გზე ნახა ჩამოსკუპული აურზაურის ამტუხი მსუქანი დედაკაცი. ახლა კი მიხვდენ მგზავრები აურზაურის მიზეზს.— ნეტავი რა იქნა ფეხებდაქრილი მგზავრი?— იკითხა ვიდაცამ.

— აღბედი საშობენში გაემგზავრა!— ზუმრობით უპასუხა მეორემ.

ხოლო ადგილსა „კატასტროფისასა“ ოთხი ხათის შემდეგ გამოცხადდა სასწრაფო დახმარება...

2. მკაფაში ჰამბო.

ტფილისში, ლაზარევის ქუჩაზე არის პურის წერტი № 77 და წერტი იგი იწოდება მორიგე წერტიად.

წერტი განაგებს გაქეჩილი ვაჭარი ვინმე— შამბო. ადებს დუქანს საღამოს 4—5 საათიდან და ჰკეტავს მაშინ, როცა ჩხუბითა და აურზაურით დაღლილს პური გამოეღვევა.

ჰაბუქსა შამბოს უყვარს ფულები, გაქაფული სურდიდან და თითოეულ მუდგელს პარავს პურსა გრამსა ასსა.

ძმომ ნიანგო! დროა განიწმინდოს „საქპურტრები“ ჩანგალითა უენითა, შამბო-თანა დაძვერელი მუშაქებიაგან.“
სატანა

ანტი-კუტაფინია

კუტაფინის მსგავსად მიხი მეთოდის მიხედვით დისპეტერმა აშხ. არზიანმა 6 ოქტომბერს მოახდინა ამკრეფი მატარებლის რეისი ტფილისიდან ხაშურამდე. რეისი ჩატარდა ბრწყინვალე შედეგებით.

(ვახუტებიდან).

(რადიო-დეკამები)

კასპი, 6 ოქტომბერი. მიუხედავად იმიისა, რომ კუტაფინის რეისმა გადაიყოლა როგორც სადგურის უფროსი, ისე მისი თანამშემე, (რომლებიც მოხსნილ იქნენ, როგორც უვარდისნი), ახალმა ხელმძღვანელობამ ფართოდ გაშალა მუშაობა მოხსნილი ხელმძღვანელობის ნაცადი გზით. ჩვენი ამკრეფი მატარებელი დისპეტერი არზიანის ხელმძღვანელობით კასპში ჩასვლისას წააწყდა შემდეგ სურათს: სადგურის მოიღვეს კეჩაძეს ეძინა იდაყვზე. მისმა ხმამალაობა ხგზინვამ დაჩრდილა ორთქლმავლის საგანგაშო ყვირილი, რის გამო იშუღებული გაეხდით, სპეციალური კაცი გაგვეგზავნა სადგურის მორიგის გასაღვიჭებლად.

გორი, 6 ოქტომბერი. გორში წაეაწყულით ანტიკუტაფინისტების მთელ ჯოგს. ჩვენი მატარებლიდან სამოკი ადგილი უნდა დაგვეტოვებინა გორში. ამ მუშაობას სწირადებოდა სულ ორი ათეული წუთი; მაგრამ რადგან როგორც მწონავი ხარატი-

შვილი, ისე მისი ამყოლ-დამყოლი ყალყზე დადგენ, როგორც კი გაიგეს, რომ მატარებელი სახელოვანი კუტაფინის სისტემით მოგზაურობდა როგორც ანტიკუტაფინისტებმა მათ გამოაცხადეს საბოტაჟი. პროფ. და სხვა ორგანიზაციების ჩარევის შემდეგ საბოტაჟიკებთან მიღწეულ იქნა კომპრომისი, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ ბარგს მუშები, როგორც წესი, ორი საუენის მანძილზე ისროდენ, რათა მის პატრონს ნაწილ-ნაწილად ჩაბარებოდა. 60 ადგილიდან გადმოტვირთვის შემდეგ შესდგა 30 ადგილი. ანტიკუტაფინისტების მიღწევას მიეწერება აგრეთვე ისიც, რომ მატარებელმა ნახევარი საათის მაგიერ სადგურში დაჰყო საათნახევარი.

გორი, 6 ოქტომბერი. 6 ცარიელი ყუთის გადასატვირთად მტვირთავმა ანტონოვმა მოითხოვა მთელი შემადგენლობის ჩაყენება მის ბუტკასთან; ისიც დიდი ფეშქაშის მოთხოვნით. რადგან მატარებლის ბრიგადამ ვერ მიაღწია შეთანხმებას ანტონოვთან თითონვე იკისრეს ტვირთის გადაზიდვა.

ბაზური, 6 ოქტომბერი. მიუხედავად ანტიკუტაფინისტების დიდი მოძრაობისა, დისპეტერმა არზიანმა მიაღწია გამარჯვებას. მატარებელი დანიშნულებს ადგილას ჩავიდა ოთხი საათი ადრე.

გპრ.

ორი გმირი

(ბროკიპოვილი და კოზირაში)

მათ შიხალმება იციან ნელი, ლამეს იხვევენ მფარველ რკალეზად. როცა აწვევა დარდები მწველი, (სტირიან დროთა გარდაცვალებას).

კოზირაში

ოი, ძვირფასო ჩემო ელისო მაქვს მხოლოდ ერთი რამის გაგება, მეც ვაწარმოებ მომარაგებას. ჩემო ელისო, მიახვე წმინდად შენი ამბავი,— გულის საკლავი, ცხოვრების ცაზე თუ ვით გაბრწყინდა და როგორ ჩაჰკრა შენი ვარსკვლავი.

ელისო

ოცდაერთ წელში გაჰყვა თეთრ გემებს ჩვენი გონება გული და გრძობა. აწი ელისო ევლარ იგემებს. ნოვია ხილვით უტკბილეს თრობას.

ტოესტში მართვლმა დამიტატანა, პანდურს მირტყამდენ ყველა მუშები, გეტყვი, ძნელია ამის აღნა და უტებურად მოილუშები. რა, რ, მავინე, მას ვინ მოსთვლიდა. მირკლეს მალაღი მიზნის მდგვარი, სამუშაოდან გამაპანლურეს და ასე გაეხდით უმუშევარი. ეიფორი შემდეგ ხელდაქრფილი, მაგრამ იმედმა გულში ინათა, ნათლი მამად მყავს კაცი კუთილი ობილი ადგილი მომცა ბინათი. და ვინც მომისპო ვაკერი, ვარამი, გამოსატნობად არ არის ძნელი, რს, პაქტორია გახლავთ ვარლამი. არა მალად, არამედ გრძელი.

სარდაზ.


ნიანგის საკბილო

დიდი-ჯიხაიში

„ნიოშვილის სახელობის კოლექტივის მოანგარიშე და მდივანი არ ეპორჩილებიან თავმჯდომარეს და ამხინჯებენ გამგეობის დადგენილებასაც კი.“

ისარი.

კოლექტივში შეიმძვრა
ორი ხულიგანი,
ერთი მოანგარიშე
და ერთიც მდივანი
მოუხდებათ ორთავეს




ყარგად შეფუტხუნება,
იქნებ ჭკუა ისწავლონ
შეიცვალონ გუნება!

კასპი

„კასპის სამანქანო-სატ. სადგურმა სამთავისის კომუნას პურის ლეწვის დროს ჩამოართვა სალენი მანქანა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ უკან დაუბრუნა ნაწილებ და მტვრული. მანქანა დღესაც შეუკეთებელია.“

ფუსე.

აქ სატრაქტორო სადგურის
ვამგეს აუწით ყურები,



და დაუფასეთ გულუხვად
თავისი ნამსახურები,
ამგვარ მანქანით ნალენი
იმას აჭამეთ პურები!

გურჯანი

გურჯანის რაიონში მასწავლებელთა უმეტესობას არა აქვთი შესაფერი ბინები, ამ გარემოებას არც განათლების განყოფილების გამგე და არც რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

გურჯანელი.

გამოლვიძება სჭირია
გურჯანისა მხარესა,
ალბად დიდხინით მძინარეს,
ვაქვაცსა — თავმჯდომარესა!
ნიანგი ბრძანებს — ისმინეთ
თქვენ მისი დანადგინები:



ასწავლებლებსა მიეცეს
დაუყოვნებლივ ბინები!

სოფ. ზედა-სვირი

(ზესტაფონის რაიონი)

სოფ. ზედა-სვირის (ზესტაფონის რაიონი) კოლ. ახალგაზრდობის სკოლის გამგემ ალ. ვაჩეჩილაძემ გაუღანა 800 მანეთი.

სვირელი.



ალექსანდრეს მოუხდება
სახაზინო ფულეები,
აღვილიდან რად მოხსენით
რად ხართ უმადურები?
რეაასი თუ გადაყლაპა
და გყავთ თავისუფალი,
ის კვლავადაც არ დიშლის,
ყლაპოს ლუკმა მსუქანი!

სოფ. სიქთარვა

(ჩხარის რაიონი) 1

„სოფ. სიქთარვის (ჩხარის რაიონი) ღვინის მარნის გამგე დ. ბუცხრიკიძე მუდამ მთვრალია და მოვალეობის შესრულების ნაცვლად დღეებს უსაქმოდ ხეტიალში ატარებს.“

ჰოჩორა.

მარანში ზის ღვინოსა სვამს
ბუცხრიკიძე — ლოთია,
მღერის: „ღვინო, კარგი ჭამა
ძმებო, ცუდრ როდია!“



ვინაც არ სვამს — ვაი იმას
გაუხმება კუჭია,
თუ არ თვრები — ეს ცხოვრება
ძმებო, ისე ფუჭია!“

ნიანგოროს რკინის გზაზე

ავადმყოფ ამხანაგის სანახავად მივიჩქაროდი.

ქარგ დროზე მივედი. ექიმი იქ დამხვდა. ავათმყოფსა და ექიმს შორის ასეთი დიალოგი იყო გამართული:



— ექიმო, რა ამბავია, რომ ამოდენა რეცეპტს მიწერ? ალბათ ცუდათ არის ჩემი საქმე.

— მხოლოდ კომპრესი, სხვა არაფერი, მაგრამ ჩვენი აფთიაქი ამ რეცეპტს არ მიიღებს და კომპრესებს არ მოგცემს. ამიტომ თვით ეს რეცეპტი ვისმართოთ კომპრესად.

— რატომ ექიმო? — შევეკითხე ექიმს.

— იმიტომ, ჩემო ქარგო მეგობარო, რომ:

„სავაგონო დეპოს სააფთიაქო წერტი რკინის გზის რეცეპტზე წამალს არ იძლევა, რადგან ჯანმრთელობის განყოფილება არ უხდის დავალიანებას 10.000 მან.“

— აი დაავადებული ჯანმრთელობა, რომელსაც გაჯანსაღება სჭირია! — გავიფიქრე და დეპოსკენ განვაგრძე გზა.

მივუახლოვდი თუ არა დეპოს, დავეწიე ორ მუშას. ისე გატაცებით ლაპარაკობდნ ტრანსპორტზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რომ ცაზე მხოლოდ ერთმა მათგანმა შეამჩნია ახალი მთვარე და მტორეს უთხრა:

— ახალი მთვარე გამოჩნდა;



ალბათ შუკოვი შემოვიღის დეპოში.

— ტყუილად გგონია. თვის პირველი ან ხუთმეტი რიცხვი რომ იყოს, მაშინ შემოვივლიდა ჯამაგირის მისაღებად, თორემ სად სცალია მას თვეში ორჯერ ჯამაგირის მისაღებად მოვიდეს და ამას გარდა ყოველ ახალ მთვარეზედაც იაროს!

— უკაცრავად, ამხანაგებო, — ჩავერიე ლაპარაკში, — ქარგად კერ გავიგე რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, ჩემო მეგობარო, რომ

„ორი კვირის განმავლობაში სავაგონო დარგის საბარგო ვაგონების ჯგუფის პას.-მგ. ხელმძღვანელს — შუკოვს ერთხელაც არ შეუხედავს დეპოში“.

— მართალია ეს ამბავი? ამხ. შინასიანო? — შევეკითხე დეპოს პარტკომის მდივანს.

— მართალია. სიმართლე გითხრათ, მე შუკოვს ვერც კი ვიცნობ.

— ეს როგორ შეიძლება? — გამოვიკვირე მე.

— წარმოებაში არ დადის, — მე მხოლოდ ტელეფონზე ლაპარაკით ვიცნობ. „იმართლა“ მინახიანმა.

— არ ვიცი რომელია თქვენში უფრო დამნაშავე! — დავაპირე თქმა, მაგრამ ტყუილისაკენ მიერქარებოდა და წამოვედი.

შუადღე იყო, როცა ტყიბულის სადგურში გამოვედი. ვილაც მოხუცს ფანარი უნთო და სადგურში რალაცას ეძებდა.

— ვინ არის ეს კაცი, რომ ამ შუადღეზე ფანარი აუნთია? — ვიკითხე მე.

— ეს გახლავთ ძველი ბერძენი დიოგენი. ამ დროს მასთან მოვიდა ადგილობრივი მზეთავი და მისალმა უდიდეს ცინიკს:



— სალამი ამხ. დიოგენ, რად გინდა ამ შუადღეზე ანთებული ფანარი? რამდენიც არ უნდა ეძებო ამ ჩვენს სადგურში, სიმართლეს მაინც ვერ ნახავ. სჯობს მე მომცე მაგ ფანარი, ღამით სამუშაოზე გამომადგება!

— რატომ სთხოვს ფანარს? — ვკითხე იქ მდგომ რკინისგზელს.

— საქმე იმაშია, მითხრა, მან — რომ:


— დიდი ხანია მზეთავი გავრილენკო ფანარს თხოულობს, მაგრამ არ აძლევენ. უფანრობა კი ხელს უშლის მუშაობაში“.

— დიოგენის ფანარი ვერაფერს გახდება. საჭიროა ნიანგის პროექტორი, რომ აშკარად დავინახოთ რკინის-გზის აპარატში იქა-აქ მოკალათებული ბიუროკრატები, რომლებიც მუშაობას აფერხებენ და ხელოვნურად ქმნიან დაბრკოლებებს! — გადავწყვიტე და ეს არის, ამხ. ნიანგო, გიგზავნი პირველ ძღვენს.

ახალი მკლავაძე

(სერი)

ნახ. ქოქიაშვილის



პ. ბურჯანაძე: (სადგ. სერიის მორიგე) ვინ მიჭარა ჩემზე, რომ უხეშია და ღოთიანია, განა ღოთი ვარ თუ ვითვრები? ღოთი ის არა, ვინც ღვინოს ვერ ინელებს და ჩხუბის დროს მხდალია, აბა ერთი ვაბეღოს ვინმემ და ხელი შემომიბრუნოს, მწეს დავუბნელებ!

სად. ნაჭი

1. შემადგენელ არაქელი დეკარგა თავში ტარა, ქვაბი ქვაბებს დააჯახა და ბენზინი დაიღვრა.
2. ტატიშვილს, რომ შევეუკუროთხოთ, არ იქნება საქმე რთული; მან ვაგონი არ დასცალა თქვა—საქმეში ვარ გართული.
3. გადაადგენ ვაგონი და გადმოცვინდა ტვირთი ვარედ, მეგრულიძე, კვინიკიძე საპასუხოდ დაიბაღეს.
4. თოფურიძეს დისანტრიქონა უნდა უთხოვოთ დიდი ქება მატარებლის გვიან წასვლა იმას არც კი ინალღებთა.
5. ზოგ მზეთავეებს სადგურებში, ვერ იხილავთ, ვერა. ბუჭი თუნდაც გადაიწვას, გაიძახის—მე რა? გადახტება ბაქანზე და მიეხლება ჩარჩებს ხილს ყიდულობს, იხვს, ქათმებსაც მეზვერობის კვლას აჩენს.
6. იცნობდეთ უფრეხელიძეს ახურავს ქუდი ქართული, ბუჭი ფეხებზე ჰკილია, ვაჭრობაშია გართული, მისი ვაგონის ბუჭები ზშირად შეედება ბოლითა ვერ გაიხარებს რკინის გზა ასეთი კაცის ყოლითა.
7. ვერ გაახუმებს ვეჭილი, მწუთავ ვართანოვს ენაში რად გინდა, ძია რკინის გზავ ასეთი გამოქეტილი. საქმენი მისი ნაჭარნი, დიდ აფორის გავაგონებს, ორგანიზაციენ მიძვრება, თუ გაყვა ბაქოს ვაგონებს. **ლადო გურნათელი.**

დ. ხარაგოშული

(ნიმუშობის ვაბაასება ხარაგოშულისსოვ. კოოკვაბატივის თავ-რისთან)

ნიაკორი: თქვენი გვარი? **თაფჯდომარი:**—მსუქნიძე. **ნიაკორი:** რამდენი ხანია რაც მუშაობთ კოოპ. თავმჯდომარის თანამდებობაზე? **მსუქნიძე:**—დღეს შემისრულდა 16 დღე. **ნიაკორი:** შენზე ამბობენ თავის სამუშაო დროს სულ მივლინებებში ატარებდნო, მართალია? **მსუქნიძე:**—მთლიანად სიმართლეს არ შევფერება. როგორც მოგახსენეთ, დღეს შემისრულდა 16 დღე რაც აქ ვმუშაობ და ამ ხნიდან მივლინებებში გავატარებ მხოლოდ 14 დღე, აქედან ნათლად სჩანს თუ როგორ ვმუშაობ და ასეთი ხმები მართალი არ არის! **ნიაკორი:** ამ ხნის განმავლობაში რამდენი თანამშრომელი გყავთ მოხსნილი? **მსუქნიძე:** დღეს 4—5 კაცი, ე. ი. 2 დღე ვიღუშავე და მოგვსენი სულ—9 კაცი. **ნიაკორი:** რატომ და რისთვის მოხსენია თქვენი სხაიდილოს 8 წლის სხაიანი მსაბუკლა მ. გლუნაძე? **მსუქნიძე:** მოგვსენი იმისათვის, დღეს 2

აყროლებული ხორცი არ გააკეთა სადილად. **ნიაკორი:** როგორაა თქვენთან ანგარიშ-წარმოების საქმე? **მსუქნიძე:** მაგაზე ვერაფერს გეტყვიოთ, ვინაიდან ვერ არ ვაგვსენობივარ ბუნძალ-ტერიის მუშაობას. ან კი როგორ მოვიცილი-დი, სამი წყება ცოლშვილი მყავს ქუთაის-ში, ზესტაფონში და ტფილისში და სულ იქ სიარულს ვუნდები მივლინების სახით. **ნიაკორი:** მიღებულ საქონელს მოგებისათვის რამდენ პროცენტს არიცხავთ? **მსუქნიძე:** სრულებით ცოტას, არა უმეტეს 40 პროცენტსა. **ნიაკორი:** რამდენი პროცენტის დარიცხვის უფლება გაქვთ? **მსუქნიძე:** არა უმეტეს 16 პროცენტისა. **ნიაკორი:** აზ. მსუქნიძე, თქვენ, როგორც გეტყობათ, ჩინებული მუშაკი ხართ და ვი-შუამდგომლებ ნიანგთან ღირსეულად და გაფასოს.

ქირაიბა.

ხატანები

1. აღმასკომში შევიარე, ვნახე საბჭოს თავმჯდომარე. გამიხარდა, გეფიცები, რომ ის ვნახე იქ მჯდომარე. უთხარ: — ძმაო, ხომ კი ხედავ გზა და ხიდი არ გევივარგა. ვინც კი ასო იმუშავა თავის თავად აიბარგა. ხომ კი ხედავ — აქ ბაზარში ვერ გაივლი უნავოთა. შეკეთებას რად არ ფიქრობ ხომ არა ხარ უთავოთა?
2. ჟურნალი და გაზეთები ვერ მივიღეთ თავის დროზე წერილებიც ძლიერ ხშირად „სილოსდება“ აქ თაროზე. **გრიშვი.**

ჩოხატაური

ნ. ღონის



დაბა ჩოხატაურზე
ბევრი არის სათქმელი,
აქვე ჩამოყალიბდა
მემიწინოთ არტელი,
ვაგვიბრაზეს ქალები:
მართა, ეკა, ციცინო
ოცად ქათამს ჰყიდიან,
ასი გახდა მიმინო.

ბევრი ჩვენი „მუშაკი“
მწყურების დევნას აპირებს.
მიუვებიან გუთურს და
სუფსის ორთავ ნაპირებს.
ზოგს ღრინო ექცევა,
ზოგს არ სვდება მწყურია,
ყველა ერთად ირევა
ფარცხმა და ეწურია.

მწყურების დევნა ხელობად
ჰქონდათ წინად თავადებს,
მაგრამ დრო წაუფიდათ
იშკილიდან დავარდენ.
თამბაქოს და ჩაის კი
მუშა-ხელი სჭირდება
მოდით ნიანგს ვაცნობოთ,
ის რას ვაგვიპირდება.
ძნელოლი.

ელკა

ნადირობა აზროთი

მზარველი ლუკა

დაბლა-გომი. (სამტრედიის რაიონი). კობ. ნოქარს, ყოფილ ვაქარსა და გადამყიდველს გრიშას, რომელიც უნდა მოხსნილიყო სამსახურიდან — ჯიბეში უპოვეს შემდეგი წერილი: „ნურაფრის გემინია სანამ მე გმფარველობ, ეცადე შემდეგშიაც არ მოგაკლო მფარველობა! შენი ლუკა“. ეს ლუკა გახლავთ სას. საბჭოს მდივანი. გრიშა თავს არხეინად გრძნობს.

მიმინო.

ახალი კურსები

მალთაკი. (ქუთ. რაიონი) ადგ. ექიმის ლეონიდეს მეთაურობით დაარსდა საარსიყო კურსები. ლეონიდეს თანაშემწეთ დანიშნულია მუშაობა დოკუმენტაციის კურსებზე მეტადინეობა სწარმოებს საღობით.

დ. მალთაკელი.

ბორჯომი. ბორჯომის შოფერებს შორის გამოცხადდა შეჯიბრება. შეჯიბრების მთავარი პირობაა — მარცხის გახშირება. შეჯიბრი კარგ ნაყოფს იძლევა. ყოველდღე აქვს ადგილი უბედურ შემთხვევას — განსაკუთრებით ზარალდებიან პირუტყვნი, ადამიანები გაქცევით შევლიან თავს.

სამკითხველოს გამგის ბრძანებით ამიერიდან წიგნთსაცავიდან წიგნები არავის მიეცემა წასაკითხად. ნებადართულია წიგნების მხოლოდ დათვალიერება, რომლებიც მტკრიან თაროებზე მოუვლელი აწყვიდა.

— გაძარცვეს საგუშაგოზე მძინარე სამი მილიციონერი და რამოდენიმე ლამის დარაჯო.

— ქუჩებში დამდგარ ტლაპოში ჩაიფლენ ქალაქის საბჭოს რამოდენიმე წევრი.

რახი.

გოგორი

ქაბუნიას (სენაკი) ჩვენ განგებ აღარ ვაქვეყნებთ თქვენს ლექსში გამოყვანილ ქალის ვინაობას, რადგან ის სენაკში მინც ყველასათვის ცნობილი იქნება. აბა ვის არ „მოხიბლავს“ მანდილოსანი, რომელიც:

„პირზე იცხებს ფუთ მამადას
ხახეს პუდრით ითეთრებს
(ნეტავ ერთი ვის რად უნდა
შავი ყვევის სიოთრე?).
თმას იღებავს იწით ქერად
წარბს „იშუტავს“ მამუბით
და „პოდრუჩკით“ სადგურის წინ.
დახეირობს ვაჭრებით.

ამბროპარს (სამტრედიის) თქვენი ლექსის გმირი საჩლით ფოცხვერია ამას იწინად უკვე „ვაკოტხეთ“ ჩვენი ურჩალოს ერთ-ერთ ნომერში და რაღად დაგვირდათ იმავე პრაოდების გამეორება?

რამტმს (სენაკი) იწერებით:
საქვარობაში თუ შევალ
ყოველდღე ღანძღვა-ჩხუბია,
თანამშრომლები შემბულან
დამდგარა სისხლის გუბეა;
მაშ რა იქნება! ასე ადვილი საქმე

გგონიათ დეფიციტურ საქონლის ურთიერთ შორის განაწილება?

ანიკოს, მანიკოს, ნინიკოს და ნინიკოს (გორი). მივიღეთ თქვენი ლექსი, მაგრამ რაკი შინაარსი კარგად ვერ ვაგვირცხვით. — ლექსითვე ვიპასუბებით:

ანიკო, მანიკო,
ნანიკო, ნინიკო,
ლექსად რომ მოგვწერო
რა იყო, ვინ იყო?



ნაზე

დასპორტიზაცია

ნაზ. ბუზიდვის.

— დავილუბეთ! ნიანგი ვადაყრას გვიპირებს. ჩვენ კი გვეგონა, რომ მან თავისი მფარველობის ქვეშ აგვიყვანა და დასპორტიზაცია მოგვცემდა.
სტამბა „კომუნისტ“, კამოს ქ. № 68